| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 5' |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერიის“ პირველის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კ.**

ორი ადგილია მასწავლებლისა სასოფლო მეურნეობის სოფ. წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში. ვისაც ჰსურს იყოს მასწავლებელი ამა სკოლისა, იმასა ვთხოვთ გამოაცხადოს თავისი სურვილი გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, სადაც შეიტყობს პირობას.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი.

**შინაარსი**: ტფილისი, 28 ივლისი.—ახალი ამბავი.—დაბა-და-სოფელი: დაბა ლანჩხუთი.—ნარკვევი.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი**: სიყვარული (ნათარგმნი მოთხრობა), ორ-ასისა.

ტფილისი, 28 ივლისი

წინა წერილში *) ჩვენ მოვიყვანეთ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის აზრი შესახებ საგლეხკაცო კრედიტისა მამულების შესასყიდლად. იგი ბანკი ამბობს, რომ გაიეფება საგლეხ-კაცო კრედიტისა იმოდენად საჭიროა, რომ უამისოდ კრედიტი დაჰღუპავს გლეხსა გაკეთების მაგიერ. ეს კრედიტის გაიეფება შესაძლისია მხოლოდ მაშინ, როცა თვით ამ კრედიტის მოწარმოე ბანკი სესხად გასაცემს ფულს იეფად იშოვნის. თუ ამ ფულს გამოელოდინება კერძო კაცისაგან, მაშინ კრედიტის გაიეფება მოსალოდნელი არ არის, ვიდრე საზოგადო გარემოებანი საეკონომიონი ერთობ არ გამომჯობინდება. ეს გამომჯობინება ძალიან შორს არის და მაშასადამე რაკი ბანკი მარტო კერძო კაცის ფულიანობაზედ იქნება დამოკიდებული, მისგან ნუ მოელოდებით გაიეფებას კრედიტისას. იმიტომ-რომ კერძო კაცი, თუ—ცოტად თუ ბევრად—სარგებელს არ დაჰხარბდა, თავის ფულს ბანკს არ მიაწვდის სესხად გაცემისათვის. რაკი საქმე დახარბებაზეა, მაშინ ამ მხრით გაიეფება კრედიტისა ყინულზედ დაწერილი სურვილია, იმიტომ-რომ რამოდენადაც ძვირი საშოვარი იქნება ფული კერძო-კაცისაგან, იმის კვალობაზედ ძვირადაც იქნება თვითონ კრედიტი.

ამ სახით ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას ის აზრი გამოჰყავს, რომ თუ გლეხკაცობის შესაწევრად კრედიტი გინდათ შეჰქმნათ, ბანკის საქმე ისე უნდა მოაწყოთ, რომ ბანკის სახსარი კრედიტისა კერძო კაცთა ფულიანობაზედ არ იყოს დაიმედებული და დამოკიდებულიო, ესე იგი, ფულის ბაზრისაგან თავისუფალი უნდა იყოსო. ეს მარტო მაშინ არის შესაძლისი, თუ ხაზინა მიაწვდის ბანკსა თავის ფულსაო. თუ ვინიცობაა ხაზინა, საფინანსო გარემოებათა და ანგარიშთა გამო, დაინახავს, რომ ამ მხრით შველა საქმისა მოუხერხებელია და ბანკმა სესხი უნდა აძლიოს იმ ფულიდამ, რასაც კერძო კაცისაგან იშოვისო, მაშინ მეტი რა გზაა, კრედიტის სიძვირ-სიიეფე ფულის ბაზარზედ უნდა იქმნას დამოკიდებულიო. თუმცა ამ შემთხვევაში სრულად უიმედოა კრედიტის გაიეფება იმოდენად, რამოდენადაც სასურველია, მაგრამ აქაც კი შესაძლოა ზოგიერთი იმისთანა შეღავათი მიეცეს ბანკსა, რომ მით ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს გლეხ-კაცობას სიმძიმე კერძო-კაცის ფულით მოქმედის კრედიტისაო.

რადგანაც საადგილ-მამულო კრედიტი მოქმედობს ობლიგაციებითა, რომელთაც გირავნობის ფურცელი ჰქვიან, და ამ ობლიგაციებით იზიდავს კერძო კაცის ფულსა თვისთა ოპერაციებისათვის, ამიტომაც ტფილისის საადგილ-მამულო ბანკმა აღნიშნა იგი შეღავათები, რომელნიც, მისის აზრით, ხელს შეუწყობენ უფრო ადვილად და უფრო იეფად მოზიდვას კერძო კაცის ფულისას ობლიგაციების შემწეობითა. ამისათვის ტფილისის ბანკმა ოთხი საშუალება არჩევა:

1) ნება ჰქონდეს ბანკსა, რომ ოც-და-ხუთ მანეთიანი ობლიგაციებიც იქონიოსო და მით ცოტა ფულის პატრონსაც ღონე ჰქონდეს ობლიგაციების სყიდვისა.

დღეს ბანკი ათ თუმნიანზედ ნაკლებ ობლიგაციებს ვერ იქონიებს. ამ ფასიანი ობლიგაცია, თუმცა მუშტარს ჰშოულობს, მაგრამ იმოდენას ვერა, რამოდენასაც ოც-და-ხუთიანი მოიპოვებდა. ოც-და-ხუთის მანეთის პატრონი უფრო ბევრია, ვიდრე ასის მანეთისა და ამ მხრით რომ ობლიგაციებს გზა გახსნილი ჰქონდეს, მუშტარი გაუმრავლდება. მუშტარის გამრავლებას ობლიგაციის ფასის აწევა მოსდევს. რადგანაც ობლიგაციის სარგებელი უძრავია, ესე იგი, ერთი და იგივეა ყოველთვის, ამიტომაც, რაც მეტად აიწევს ობლიგაციის ფასი, იმოდენად სარგებელი ცოტა მოსდის. მაგალითებრ, ეხლა ათ თუმნიანს ობლიგაციაზედ სესხის ამღები იხდის წელიწადში ექვს მანეთს. ის ათ თუმნიანი რომ მუშტრის სიმრავლემ თორმეტს თუმნად გახადოს, მაშინ იგი ექვსი მანეთი შეიქმს ასზედ ხუთსა, ესე იგი, ხუთს სარგებელსა. სესხის ამღებს ამ გზით ფული დაუჯდება 5%-ად, ესე იგი, 1%-ით ნაკლებ გაუვა ვალში.

ამ მხრით ცოტად თუ ბევრად გაიეფება კრედიტისა ძალიან ადვილად მოსალოდნელია და ჭკუაში მოსასვლელი. ჯერ იმიტომ-რომ ოც-და-ხუთის მანეთის პატრონი უფრო ბევრია, როგორც ვსთქვით, ვიდრე ასის მანეთისა და თუ ამ ცოტა ფულის პატრონსაც გზა გაეხსნება ობლიგაციების სყიდვისა, უეჭველია ამ მხრითაც მუშტარი აუჩნდება ობლიგაციას, რომელსაც ეხლა მარტო მდიდარი-და სწვდება. მერე იმიტომ-რომ საადგილ-მამულო ბანკის ობლიგაცია უფრო იმედიანი და მკვიდრი ქაღალდია, სხვა სარგებლიან ქაღალდებ შორის. იმედიანი და მკვიდრია იმიტომ-რომ მის თავდებად ჯერ თვითონ გაცია, სესხის ამღები, მერე მისი განსაზღვრული მამული და ბოლოს თვითონ ბანკი მთელის თავისის ქონებითა.

სხვა ბანკის ბილეთს ამ სამში მარტო ორი თავ-მდები უძღვება, მესამე კი, რომელიც ყველაზედ მეტად საიმედოა, ესე იგი, გირაოდ მიღებული მამული-კი არა ჰთავდებობს. ცოტა ფულის პატრონი, რომელიც შავის დღისათვის ფულის მკვიდრად გაბარებას და შენახვას უფრო ჰფიქრობს, ვიდრე სარგებლით გაბევრებას, საადგილ-მამულო ბანკის ობლიგაციაში ჰპოულობს თვისის ნადველის წამალსა, იმიტომ-რომ უფრო საიმედო ქაღალდია, სამის თავდებობით გაძლიერებული. ეს ბუნება საადგილ-მამულო ბანკის ობლიგაციისა, როცა ობლიგაცია

*) იხ. „ივერია“ № 150.

# ფელეტონი

## სიყვარული

(შემდეგი*)

ყმაწვილი-ქალი სწერდა:

— „თავადო! ვერა ვბედავ, რომ სახელი დაგიძახოთ; თქვენი სახელი ყოველთვის ამაღელვებს ხოლმე. თქვენ ყოველთვის სახელს მეძახით და როცა ჩემს სახელს ან იტალიანურად და ან ინგლისურად ახსენებთ, სამოთხის სიტკბოებას ვიგრძნობ ხოლმე. ჩვეულებადა გაქვთ: ვიდრე ჩემს სახელს იტყოდეთ, დამაცქერდებით, თითქოს საჩუქარს მაძლევდეთ რასმეო, და ნელად, გრძლად წარმოსთქვამთ ხოლმე და ეს უფრო თავ-ბრუს მახვევს. როცა თქვენ ამბობთ „დეზი, მარგალიტა“—გული ისე გამიხდება ხოლმე, თითქო ეს არის შიგ ნესტარი ჩამიტარესო... და ესა მკლავს, ეს მაწამებს.

„თავადო, მე დღეს ტურინში მივდივარ. აგერ ერთი კვირა იქმნება, რაც მოახლე დავითხოვე, ფულები მივეცი და არხეინად წავიდა შოტლანდიაში. მე იმას არ ვუყვარდი და იგი მე არ მიყვარდა. ჩვენ გულ-უხვენი ვართ მსახურთა და მოახლეთა მიმართ და ისინიც ჩვენნი პატივის-მცემელნი არიან,—მხოლოდ ეს პატივის-ცემა და გულ-უხვობა გვაერთებს ჩვენ ერთმანერთთან. ჩვენ, ჩრდილოეთის მცხოვრებელნი, უცხო-ქვეყნელნი, ციენი ქმნილებანი ნისლით დაბურულის ქვეყნისა, ჩვენ თქვენ არა გგევართ, თქვენ, რომელნიც მდიდარნი ხართ ოცნებით, ვნებათა ღელვით და არავინ-კი არ გიყვართ ნამდვილად და ჭეშმარიტად. ჩვენ ჩვენს სულსა და გულს მხოლოდ ერთს კაცს ვუსაკუთრებთ, ჩვენს შვილებს, თუ შვილები გვყავს, და მაღალს და ყოვლად შემძლებელს ღმერთს. თქვენ-კი,—რამდენი ხალხი გიყვართ! გიყვართ ის მოსამსახურენი, რომელნიც თქვენს სახლში აღზრდილან, ყმაწვილები, რომელნიც სასწავლებელში დადიან, ქალები—ყმაწვილობის მეგობარნი, მოხუცნი—მამითქვენის ნაცნობნი, თქვენი მასწავლებელნი, მეგობარნი, ისინი, რომელთაც სულ ერთი წელიწადია იცნობთ, რომელნიც გუშინ გაგიცვნიათ! თქვენ ყველანი, ყველანი გიყვართ უანგარიშოდ. დღეს მოგეწონებათ ახალგაზდა გოგო, რომელთანაც გილაპარაკნიათ და გიბაასნიათ გაზაფხულის მშვენიერს საღამოზედ ბაღში, სადაც ყვავილები და ვარდები ათას გვარად სურნელოვანებდნენ; ხვალ შეგიყვარდებათ ფერ-მიმკრთალი სინიორა, მხოლოდ იმიტომ-რომ ამ სინიორას ქმარს თავი მოეკლა დამბაჩით და სინიორა სასო-წარკვეთილებით დასტიროდა ქმარსა; ზეგ კიდევ თეთრ-ყირმიზი ახალგაზდა-ქალი მოგეწონებათ, რომელიც ცხენით რომელსამე მელიას დევდევნება რომაელთა კამპანში... თქვენ, იტალიელთ, სამხრეთელთ, ბევრი ქალები გიყვართ: ერთი იმიტომ გიყვართ, რომ იმის თვალები თქვენის განსვენებულ ბიძას-ქალის თვალებსა ჰგავს; მეორე—სულ იცინის, ხარხარებს და მღერის; მესამე—შავის კაბით დადის ხოლმე და ხელში ყოველთვის ზამბახის თაიგული უჭირავს; მეოთხე—სულ ოცნებობს და მხოლოდ ოცნებობს... და ვინ იცის, კიდევ ვინ არ გიყვართ სულ ამისთანა ახირებულ მიზეზთა გამო! ბევრნი, ბევრნი გიყვართ თქვენა! ხოლო თქვენ-კი, თავადო, საკუთრივ თქვენ არავინ გიყვართ, არც მეგობარი, არც საყვარელი-ქალი, არც უმანკო ყმაწვილი, არც წელში მოხრილი მოხუცი, არც ნაზ-თვალებიანი ქალი,—არავინ. თქვენ გულ-კეთილად უღიმით ყველას; თქვენის მწყობრის, სამუსიკო ხმით ნელად, ნაზად აღმოსთქვამთ ხოლმე სიტყვებს, რომელთა სმენითაც სიამოვნებს და ბედნიერებასა ჰგრძნობს ადამიანი, ხოლო თქვენ-კი არავინ გიყვართ. ალერსიანად შეჰყურებთ ხოლმე ქალების შავს თმებს და ყმაწვილების ქერა თმებს, ხოლო თქვენ-კი არც ყმაწვილები გიყვართ და არც ქალები. თქვენ არავინ არ გიყვართ, და ამიტომაც ვკვდები, სიცოცხლეს ვისპობ.

„მაშ ასე, მივდივარ. ორ-სამს დღეს დავრჩები ტურინში, რომ არავინ კვალზედ არ მომაგნოს, და შემდეგ ალპიის მთებში წავალ. წავალ ნელად, დინჯად, არ ავჩქარდები, მაგრამ არც შევდგები სადმე. ჯერ ცის ცვარით დანამულს მინდვრებზე მივალ, შემდეგ ნელ-ნელა ავალ მოთოვლილ მთებზედ. ეს ბუნების სიმშვენიერე, რომელიც ადამიანს სულს უნათლებს და უცხოველებს და გულს უმხნევებს, თქვენ გძულთ და გეზიზღებათ. თქვენ იმ აღმოსავლეთში მცხოვრებს ადამიანსა ჰგევხართ, რომელსაც კეთილი ცხოვრება უყვარს, მთელი დღე რბილ ტახტზე არის გადაწოლილი, შადრევანის წყლის შხაპუნს უგდებს ყურს და გასცქერის ლაჟვარდს ცაზედ ღრუბელთა სრბოლას. ეს კაცი მთელი დღე თვლემაშია და გონება იქამდე ეხშობა, რომ ავსა და კარგს ველარ არჩევს; თავ-მოყვარეა, უძლური, ბოროტი და ბედნიერი,—ერთსა და იმავე დროს. იმედი მქონდა, რომ გადაგარჩენდით როგორმე აღმოსავლეთის კაცის სულით და გულით მოშვებას, დაუძლურებას, უფრო კეთილად გადაგაკეთებდით და ჭეშმარიტს ბედნიერებას გაგრძნობინებდით! ოჰ, რომ იცოდეთ, როგორა მძულდა სურნელოვანი ყვავილები, რბილი ტახტები, გაზაფხულის და შემოდგომის გულის-გამტაცი მშვენიერი საღამოები, მოლაჟვარდებული ცა და ზღვა, რომელნიც ადამიანს სიცოცხლეს უკარგავენ და უძრავად გარდაჰქმნიან ხოლმე! მაგრამ ვერ შევიძელ; მეტად გიყვარდათ ნებიერი და განცხრომითი ცხოვრება, ძვალ-რბილში გქონდათ გამჯდარი ეს სენი და ვერ გავიმარჯვე. მე მინდოდა, რომ შემეყვარებინებინა თქვენთვის როგორმე მთები, მწვანე ყვავილით შემკულ-შემოსილნი, უძირო უფსკრულნი, ქარიშხალნი, კაცთა-დამღუპველი ზვავები, მშვენიერი გადაშლილი მინდორ-ველი; მაგრამ თქვენ მოძრაობა და სიცივე გეზიზღებათ, თოვლის დანახვაზედ გული ჩაგეხურებათ და მოიწყენთ ხოლმე, ყინულის დანახვაზედ სიკვდილზე ჰფიქრობთ... მეც მთა-ყინულებმა მაფიქრებინეს თავის-მოკვლა.

„ასე, მთაში მივდივარ. არ ვიცი, რომელს მხარეს წავალ და რამდენს ხანს დავრჩები. კარგსა და გამბედავს გზის-მაჩვენებელს დავიჭერ და გზას გავუდგები. წავალთ ერთად და დავიწყებთ ხეტიალს მთების მოტიტვლებულს მწვერვალებზე, მინდორ-ველებზე, სადაც აქამიანს ადამიანის ხმის გაგონებაც-კი ეუცხოვება; ვივლით

*) იხ. „ივერია“ №№ 149, 150, 151 და 152.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოც-და-ხუთ მანეთიანიც იქნება, ბევრს მიწაში ჩაფლულს ქოთანს მოსხნის პირსა და უქმად დებულს ფულს დასძრავს ობლიგაციების სასყიდლად ჩვენშიაც-კი, თუ კი ხალხმა ამისი გემო გაიგო. ამისი მაგალითი გერმანიაა, საცა მაგისთანა ობლიგაციას ეტანება გლეხ-კაცობა სასყიდლად და ერთობ ფულის წვრილ-ფეხობა, როგორც ბუზი თაფლსა და არა ფასს არა ჰზოგავს.

## ახალი ამბავი

⁂ მოგვყავს ადგილი ერთის წერილიდამ, რომელიც მოგვიტანა ტფილელმა მკერვალმა ქალმა: „ჩვენა ვართ თეთრეულის სამკერვალოში სამუშაოდ ექვსი მკერავი ქალი—სამი რუსი და სამიც აქაური. ჩვენი დიასახლისი საშინელი ანჩხლი და მოჩხუბარი ქალია. სულ ცოტა რომ ვსთქვა, დღეში ხუთჯერ მაინც გვეჩხუბება და შაბათობით ხომ ათჯერაც ცოტაა, რადგანაც ფულის მოცემა არ ეპიტნავება ხოლმე. იმდენს იჩხუბებს და იყვირებს, რომ კვირას შესვენების ნაცვლად თავი გვისკდება. იმ ჩხუბში უფრო გულ-საწყავ სიტყვებს ჩვენ, აქაურ მოსაქმეთ, მოგვარტყამს ხოლმე. ხშირად ასეთის ლექსით მოგვმართავს: „თქვე ასეთ-ისეთებო, არც-კი გიხარიანთ, რომ ქვეყანაში გაერიენით და კერვა ისწავლეთ! რატომ სულს არ ითმევთ და ჩქარა არა ჰმუშაობთო?“

„ერთი ჩვენგანი თავ-დახურული მანდილოსანი გახლავთ. გაჯავრებული დიასახლისი, თუ თვითონ ველარას მოახერხებს, შეილებს მიუსევს და მოალეჯინებს ლეჩაქის ბოლოს, თანაც მიაძახებენ: ‹რას ჩამოუკიდნია ძაღლის კუდისავითაო›. ბევრჯელ წასულა სახლში ჩვენი საცოდავი მანდილოსანი კუდ-მოგლეჯილ ლეჩაქით. ჩვენ მზე მაშინ გაგვინათებს ხოლმე, როცა ბევრის მოლაპარაკე და ჯანჯალი მუშტარი გაჩნდება სადგანმე. გავლენ მისალებ ოთახში და ჩვენ კარგა დრო გვრჩება თავისუფლად ვილაპარაკოთ. ზოგი ესჩივით პირის გამო თუთქეას საჭმლისაგან, რაკი გვაჩქარებენ და თავის დღეში არ შეგვარგებენ იმ ორიოდე ლუკმას, რომელსაც სადილი ჰქვიან.

„ზოგი-კი სჩივის, სრულებით ვერა ვჭამე-რა სიჩქარითაო. ვოცნებობთ, რომ ნეტავი ღმერთი ისეთს მადლიან კაცს გამოგვიგზავნიდეს, რომელსაც ჩვენს ტანჯვაში მონაწილეობა მიეღო, რომ დღეში ერთის საათის თავისუფლებას მაინც დაგვიწესებდეს და ეგებ მუშა ხალხს სადილი მაინც შეგვარგონ ხოლმე...

„მაგრამ ჩვენი მხსნელი ჯერ არსაიდამ არა სჩანს და ან გამოგვიჩნდება სადმე? ვინ იცის!“

⁂ მნახველთ გვიამბეს, რომ კვირას, 26 ივლისს, კუკიაში, ახალ-არსენალის ქუჩის დასწვრივ, ჩოდრიშვილის სახლებთან მოჰხდა საზიზღარი ამბავი. კედელთან ახლო ქუჩის „სკამეიკაზედ“ იჯდა ორი მეწვრილმანე ებრაელი და ელოდდა ვიღაც მანდილოსანს, რომელსაც ეყიდნა საქონელი და ფული უნდა გამოეტანა მათთვის. ამ დროს გამოიარა იქვე ახლოს სამმა კინტომ. რა დაუახლოვდნენ მეწვრილმანე ებრაელთ, ერთმა „ჯეჰელმა“ კინტომ წაუსვ-წამოუსვა მუშტი საბრალოთ. მერე სულ ძირს ჩამოუყარა ყუთები, რაშიაც საწვრილმანო ეწყოთ.

ებრაელნი „შენი ჰირიმეთი“ ელიჯინნენ, მაგრამ აბა რას გააწყობდნენ განადირებულ ადამიანთან!.. ეგ კიდევ არაფერი. მანდილოსანმა გამოუტანა ებრაელთ ფული და, დაინახა თუ არა ასეთი უადამიანო საქციელი, კეთილ-შობილურის დარიგებით მიჰმართა კინტოს. მაგრამ ამან არც აცივა და არც აცხელა, წაართო ებრაელს ჯოხი და იმითი სცემა მანდილოსანს. ერთი წიხლი ჰკრა მუცელში და რამდენჯერმე სილაც გაარტყა. ქალი გაფითრდა, აკანკალდა, მუხლთ მოეკვეთა, მაგრამ როგორც იყო შევარდა სახლში. «ჯეჰელი» კინტუა-კი თავის ამხანაგებით ისეთის უშვერის პირით აგინებდა ქუჩიდგან მანდილოსანსა, რომ ამანაც ველარ მოითმინა, შეიკრიბა ძალ-ღონე, დაადლო ხელი ქვებსა, ამ გვარის შეურაცხ-ყოფისათვის გამოუვარდა გარედ, დაუწყო სროლა და ერთი ქვა კარგა ღონიერად მოარტყა შიგ თავში. მერე მანდილოსანი მარჯვედ შებრუნდა სახლში და კარი მაგრა ჩაიკეტა. კარგა ხნის შემდეგ პოლიციელიც მოვიდა, მაგრამ გვიანღა იყო.

⁂ სურამელ კორრესპონდენტის სიტყვით, ამ დღეებში მოჰხდა ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი სოფ. იტრიაში. იტრიელ თავ. ივანე ჩხეიძესა ჰყავს შეილად აყვანილი ორი ვაჟიკაცი, ძმები, რომელთაც ერთმანეთში უსიამოვნობა ჰქონიათ. ერთს ამათგანს შეშა გამოუტანია ჩხეიძის ტყიდამ და იტრიელ გლეხის ბესო ულუმბელაშვილის ეზოში დაუყრია. ცოტა ხნის შემდეგ ამ გლეხთან მოსულა მეორე ძმა და უკითხავს—ეს ხეები ვინ გამოიტანაო. ულუმბელაშვილს უთქვამს—შენმა ძმამ გამოიტანა და აქ დაჰყარაო. ამაზედ შეჰყოლიან, ლაპარაკი გაცხარებულა. ამ მეორე ძმას, სახელად გიორგის, უცებ ამოუღია ხანჯალი, მოუქნევია საბრალო გლეხისათვის და შიგ მუცელში გაუტარებია.

ექიმი მალე მიაშველეს ულუმბელაშვილს, შეუკრეს დაჭრილობა, მაგრამ ძალიან საეჭოა, რომ ის გადურჩეს სიკვდილსაო.

⁂ დაბა ყვირილიდამ შემოგვჩივიან, რომ აქ ხმელ თევზეულობას ყველა მედუქნეები ჰყიდიან, რადგან მუშა-ხალხი ძრიელ ეტანება ამ სადა საჭმელსა. მაგრამ კარგად რო გავსინჯოთ ეს თევზი, სულ ერთიან გადასაყრელია და არა საჭმელი, იმიტომრომ ყოვლად საძაგლის და მავნებელის თვისებისაა. მედუქნეებს აქედიქიდამ მოაქვთ თითქმის მუქთად და აქ კი საცოდავს მუშა-ხალხზე კაი საქონლის ადგილას ასაღებენ და ჰყიდიან. მით უფრო სამწუხაროა ეს ამბავი, რომ მუშა-ხალხის უმთავრესი საზრდო აქ თევზეულობაა და ასე წინდაუხედავად-კი სარგებლობენ მედუქნეები ხალხის ხელ-მოკლეობით და უქონლობითაო.

⁂ ქუთაისიდამ გვწერენ: წინად ჩვენს ქალაქში დრო-გამოშვებით მაინც ჰმართავდნენ ხოლმე წარმოდგენებს როგორც ქართულს, აგრეთვე რუსულსა. სხვა-და-სხვა სანახავები და გასართობებიც არ გვაკლდა; ახლა-კი ეს ორი თვეა სრულდება, რაც მგლოვიარებს დავემგზავსენით და ამ გვარი არა გვინახავს-რა გარდა ერთ რუსულ კონცერტისა, რომელიც გამართა ბ-ნმა ქორიძემ და რომელზედაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოება ძლიერ ნაკლებად დაესწრო, რადგანაც პროგრამმა ამისი თითქმის იგივე იყო, რაც წინა კონცერტებისა. ამასთან კარგს ინებებდა ბ-ნი ქორიძე, ქართული კონცერტები უფრო ხშირად გაემართა, რადგანაც აქაური საზოგადოება დიდის გულ-მოდგინებით ისმენს ქართულს სიმღერებს, როგორც იშვიათს მოვლენას.

სიამოვნებით გავიხსენებ მხოლოდ, რომ ამ კონცერტზედ მშვენივრად აასრულა სოლო ბ-ნმა ქორიძემ.

⁂ იგივე კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ 20-ს ივლისს ქუთაისის საქალაქო საბჭოს ჰქონდა სხდომა, რომელზედაც სხვათა შორის იყო მოხსენება საბჭოს ხმოსნის ბ-ნ მ—სა. ეს ხმოსანი თავის მოხსენებაში სჩიოდა ქალაქის ფულის უკანონოდ ხარჯვას და ქალაქის თავის საქციელს, რომელიც ვითომც არ არის კანონიერი, ამ ხმოსნის აზრით. ეს საქციელი მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქის თავმა იკისრა ერთის კომისიის თავ-ჯდომარეობაო. მაგრამ სხდომაზედ ქალაქის თავმა აუკრძალა ბ-ნს მ—ს დაწერილებით განმარტება და დასაბუთიანება საჩივრისა, თუმცა ძრიელ საინტერესო იქნებოდა საბჭოსათვის ამაებზედ ვრცელი ბაასიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დაბა ლანჩხუთი, 26 ივლისს. ამ თთვის პირველიდგან ძრიელ სიცხეები დაიჭირა აქედკენ, ასე რომ სიმინდი შეაჭკნო და მინდვრებზე საძოვარი ბალახები კინაღამ გაახმო. მოახლოვდა თუ არა წმინდა ილიას დღესასწაული, ბუნება შეიცვალა. 18 ივლისს, საღამოთი, დაიწყო ძლიერი წვიმები, ელვა და ჰქა. ელვა ისეთი ძლიერი იყო, რომ დღე გვგონებოდათ, როცა იელავდა. მეტადრე დილის სამ საათზე ერთი ისეთი დაიჭქა,

უგზო-უკვლო ხევებსა და ხრამებზედ, უფსკრულთა ნაპირებზედ. ჩემი ნურა გეფიქრებათ-რა: უეცრივ არა შემთხვევა-რა. მე მინდა, ჩემი სიკვდილი ადრევე მოვიფიქრო, რაც შეიძლება დამშვიდებული დაველიო სული და იმ დღესა და საათსა, რა დღესა და საათსაც ადრევე დავინიშნავ. მინდა დავსტკბე მთათა მშვენიერების, დიდებულების და მდუმარების ცქერით; თოვლზედ მინდა მუხლი მოვიყარო და ღმერთს შენდობა ვსთხოვო იმისათვის, რასაც ჩავდივარ; თავის-მოკვლა ცოდვაა, დიდი, საშინელი. მე თქვენ არ გიყვარხართ და ასეც ვეტყვი ღმერთს ლოცვის დროს! მოვიწოდ ნუგეშად და შეოხად და მაპატიებს კიდეც ჩემთა ცოდებათა, რადგან თქვენ მე მიყვარხართ და მე-კი თქვენ არ გიყვარხართ.

„ღმერთი შემინდობს. როცა საკმაოდ ვილოცავ, საკმაოდ ცრემლებს დავღვრი და ჩემს დარდს შევჩივლებ მაღალ კლდეებს, მაშინ საათს ამოვირჩევ და გულ-გრილად გადავდგამ ნაბიჯს სიკვდილისაკენ. მთაში ბევრი უფსკრული და ხევ-ხუვია, ერთი მრუდე ნაბიჯი,—და გათავდა. შეშინებული გზის-მაჩვენებელი მოვარდება, დაინახავს, როგორ გადავიჩეხები, გადავარდები კლდეზედ, კლდიდგან მინდორზედ, თოვლზედ, გადასწყვეტავს, რომ ეხლა აღარა ეშველება-რაო, და რაც შეიძლება ჩქარა გაიქცევა მახლობელს დასახლებულს და თავ-შესაფარს ადგილს... მანამდე-კი წმინდა თოვლი ჩამოვა და დამედება თავით-ფეხამდე. მახლობელ სოფლიდგან მოვლენ მთიელნი ნიჩბებით, ცულებით, შავს ტყავებში გახვეულნი; მოცვივდებიან მთიელთა ცოლები, კეთილნი ადამიანნი, რომელნიც ყოველთვის მზად არიან გაჭირებულს უშველონ და ხელი გაუმართონ ხოლმე უბედურობაში; მოიტანენ უბრალო, პოეტიურს, ფიცრის კუბოს... მე მთებში სიარულს ჩვეული ვარ, მინახავს ფიცრით შეკრული კუბოები. ამ დროს ჩამობინდდება. ნელ-ნელა და ფრთხილად ჩაეშვებიან მთიდგან ბარში, ფრთხილად ჩასდებენ მკვდარს კუბოში და ჩირაღებით,—დაღამდება კიდეც,—წაიღებენ სოფელში. გარდაცვლილს მიიტანენ იმ სასტუმროში, რომელშიაც დილას უნახავთ, რომლიდგანაც დილას გასულიყო დამშვიდებული, ცოცხალი, ჯან-საღი, ღონიერი და დაბრუნების დროს-კი ფერ-მიმკრთალი სახე სისხლში ჰქონდა მოსვრილი და მთელი ტანი დასახიჩრებული და დამტვრეული. მთელს ჩემს ქონებას ვუანდერძებ ლონდონის ღარიბ კაცთა და დედაკაცთა, მოხუცთა და ყმაწვილებს. ჩემის სურვილისამებრ, მე ცივს, ნისლიანსა და სულის-შემხუთავს ინგლისში არ დამარხავენ, არა, მე დამმარხავენ თოვლს ქვეშ, თოვლიანს მთებზე. ღირსი ვარ ამისთანა წმინდა და ხელ-შეუხებელის სამარისა. არავინ იცის და ვერც გაიგებს, რომ მე თვითონვე მოვუსწრაფე ჩემს თავს სიცოცხლე. თქვენ, მხოლოდ თქვენ იცით.

„ყური მომიგდეთ, ფრანჩესკო... დიაღ, ფრანჩესკო, რადგან სახელი მინდა დაგიძახოთ. ცხოვრების საიდუმლო სიყვარულია. მე ისე მიყვარს ეს ჭეშმარიტება, რომ სიყვარულის მეტი ჩემთვის არა არსებობს-რა ქვეყანაზედ; ყველა მოტყუებაა, ყველა ცდუნებაა! იქნება სიყვარულიც ცდუნება იყოს,—ასე ამბობენ ურწმუნონი. რა ვუყოთ მერე? ცდუნებაც რომ იყოს, მაინც სიყვარული მეტად, მეტად მშვენიერი ცდუნებაა და სიყვარულს მოკლებულს ადამიანს ვერა-რა ანუგეშებს-და. არც ადამიანის მტანჯველი პატივ-მოყვარეობა, არც სიმდიდრით სიტკბოება, არც სიბრძნის ცოდნა, არც მშვენიერების დღესასწაული, არც ხელოვნება,—ვერა, ვერა-რა შეედრება სიყვარულს. თავხედ და ზნე-გაფუჭებულ ქალად ნუ ჩამთვლით: მე ვამბობ ამ სიტყვებს ეხლა, ჩემს უკანასკნელს საათსა და წმინდა ვარ, წმინდა. ყველაფერი მეპატიება, რადგან ოცის წლისა ვარ და ვსთმობ სიცოცხლეს, ძვირფასად არ მიმაჩნია... ოჰ, ფრანჩესკო, თქვენ რომ გესმოდეთ სიყვარული, თქვენც იმას იტყოდით, რომ კარგა ჰქმნა, თავი მოიკლაო, რადგან როცა თქვენ მიყვარდით, თქვენის სიყვარულის მეტი აღარა გამაჩნდა-რა ქვეყანაზედ, აღარა მესმოდა-რა ქვეყნისა,—მაგრამ თქვენს გულს სიყვარული არასოდეს არ უცვნია. თქვენთვის სიყვარული არ უსწავლებიათ და არც თქვენ მოგიწადინებიათ სიყვარულის სწავლა. თქვენ სიყვარულისა არა იცით-რა, ფრანჩესკო, არა გესმით-რა. ბედნიერი ხართ თუ არა? არ ვიცი. მგონი, რომ ბედნიერი უნდა იყოთ. არც თქვენ იცით! იქნება არ იცით რა გრძნობაა სიყვარული და ამიტომაც არც სურვილი გაქვთ სიყვარულისა. ოჰ, მე ვკვდები სიყვარულის სურვილით!.. სხვაფრივ ნუ მიიღებთ ამ სიტყვებს, ჩაუფიქრდით და ჩემის სიტყვების ნამდვილს აზრს მიჰხვდებით.

„მომისმინეთ: მე ეს ჯერ კიდევ თქვენთვის არ მითქვამს. მე თქვენ შეგიყვარეთ უეცრად, პირველსავე წუთიდგან, შემომხედეთ და დამელაპარაკენით თუ არა; დარწმუნებული ვარ, თქვენც მაშინვე მიხვდით, რომ შემიყვარდით. აქამდე მე თქვენთვის არც-კი შემიმჩნევინებია, რომ მიყვარხართ-მეთქი. აღზრდა, ჩვეულებანი და ბუნება ჩვენ, ინგლისელებს, ღონიერ და მაგარ ხასიათისასა გვხდის; ჩვენ ხასიათს სიცრუე არ უყვარს, და ამასთან სხვების სისუსტეც ეჯავრება, არამც თუ თავისი. მე უფრო მაგარის ხასიათისა ვარ; უდედ-მამოდ გავიზარდე, მფარველი ადრე მომიკვდა და თექვსმეტ წლიდგან მოკიდებული მე თვითონ ვადევნებ თვალ-ყურს ჩემს მამულ-დედულს. მე ვმართავ და ვგამგეობ; ვკითხულობ რაც მინდა, მივდივარ საცა მინდა, ვლაპარაკობ, ყურს ვუგდებ, მიყვარს ვინც მინდა, ჩემი დამშლელი და ბატონი არავინ არის. მინდოდა გამეგო, რისთვის ვცხოვრობდით, რა იყო ადამიანის ცხოვრება, და დავრწმუნდი, რომ ყველაფრის საიდუმლო სიყვარულია, რომ თუ სიყვარულს მოვნახავდი, მოვიწოდებდი და მივიღებდი, ჩემი სიცოცხლე ბედნიერი იქმნებოდა. მე ძალიან გულცივი ვიყავი, დინჯი, როცა ამ საქმეს ვზომავდი და ვაზრობდი; მე ისეთი გულ-ცივი ვიყავი, რომ ჩემს ნაცნობებსაც-კი თვალ-ყურს ვადევნებდი და იმათ სახეზედ ვკითხულობდი: თავმოყვარეობას, ურწმუნოებას, გულგრილობას, სისაძაგლეს, ანგარიშიანობას, ანგაარებას. მე არ მინდოდა დავმონებოდი ვისმე. როგორც მეგობრობით და ამხანაგობით, აგრეთვე სიყვარულითაც მხოლოდ იმას მივანდობდი ჩემს გულს, ვისაც ვუყვარდი. თქვენ იცნობდით ჯულიო არეცცოს. გულ-მხურვალე სიცილიელი დაჟინებით არწმუნებდა ყველას, რომ ქერა და თეთრ-ყირმიზი, ფერმიმკრთალი, სუსტი, გულ-ცივი და გულ-გრილი ინგლისელი ქალი მიყვარსო, ვითომ მე! სამსახურს თავი დაანება, რომ ჩემს უკან ევლო, ეკკლესიაში დადიოდი, რომ მე ვენახე; ცხარედ ლაპარაკობდა და გატაცებული იყო ვითომ და ჩემის სიყვარულით; მდიდარი იყო ჩემსავით, თავისუფალი, ახალგაზდა, კეთილშობილი; ყველანი იმას ამბობდნენ, რომ არეცცოს მისს დეზი უყვარსო, და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ იმას მივთხოვდებოდი. ხოლო მე ერთს წუთსაც არ მოვტყუებულვარ: მე არ ვუყვარდი იმას; იმის სიტყვებს ვატყობდი ხოლმე, რომ იმის გული ჩემს სიყვარულს არ აეძგერებინა, რომ გაივლიდა თუ არა იმის წუთიერი გატაცება, წინ გულ-ცივი ცხოვრება მოგველოდა ორს ადამიანს, რომელნიც ერთმანერთს არც ხასიათით ვეწყობოდით, არც ჰკუა-გონებით, არც განათლებით და არც ჩვეულებანით. ოჰ, რომ ვყვარებიყავი!.. მაგრამ არა, ჯულიო არეცცოს ისევე არ ვუყვარდი, როგორც არ გიყვარდით თქვენ. ერთს წუთს რა არის, ერთს წუთსაც-კი არ მოვტყუებულვარ.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

რომ გვეგონა, ჩვენი ხის სახლები თავზე ჩამოგვექცევაო. ცრუ-მორწმუნე ხალხმა მაშინათვე მიაგნო ამ მოვლენის მიზეზსა. თურმე იმ ღამეს ერთი გლეხი იწვა დერეფანში. როცა იელა, გლეხს გამოეღვიძა, ადგა და უნდოდა სახლში შესულიყო და დაწოლილიყო, რადგანაც აქა სწამთ, რომ მძინარე კაცს თუ ელვა ჩაუვარდა პირში, ბოროტი სული თან ჩაჰყვებაო. სახლში რო უნდა შესულიყო, უცებ მოეჩვენა, ვითომ ზეცადამ წამოვიდა ერთი შიშველი კაცი, რომელსაც ეჭირა ხელში ორი ჯოხი: ერთი თეთრი და მეორე შავი. ამ კაცმა მოიქნია თეთრი ჯოხი და გაიელვა; შემდეგ მოიქნია შავი ჯოხი, და დაიჭექა.

როცა ეს ამბავი გაიგო ხალხმა, ძალიან შეშინდა. მგონი, ერთი დღე კიდევ უნდოდათ გაეუქმებინათ პარასკევს გარდა. ამბობდნენ: ეს იყო მიწა იძრა, „ბატონები“ გაჩნდა, ეხლა კიდევ ეს არის ზეციდამ კაცი ჩამობძანდა და დაჰქექა და ახლა-კი მზეც უნდა დაბნელდესო, ქარიშხალი უნდა ადგესო, უეჭველად მეორედ მოსვლა მოახლოვებულაო. ეს რწმენა უფრო გაამძლავრა ერთმა მოვლენამ, რომელიც მიწის-ძვრას მოჰყვა. მიწის-ძვრაზე ლანჩხუთის მახლობელ თემში, სახელდობრ სოფ. ჯუმათში, რამდენისამე საჟენის სიგრძეზე დაიწია მიწამ ძირს და ზევით ამოდის კუპრსავით შავი წყალი. შუა ადგილას, სადაც მიწა გასქდა, შადრევანივით ასხამს წყალს მაღლა. ამ მოვლენამ ძალიან შეაშინა ხალხი და დაარწმუნა, რომ ქვეყანა უნდა დაიქცესო, რადგან მეორედ მოსვლა იქნება კუპრით, ცეცხლით და წყლითაო.

ჩვენკენ ვაჭრებმა დაიწყეს სოფელ-სოფელ წანწალი, რომ ამ თავითვე შეისყიდონ გლეხებისაგან სიმინდი. ამ ნაირად შესყიდვას ხშირად ცუდი ბოლო აქვს ხოლმე. მაგალითად, წარსულ წელში ვაჭრებმა მოსავლის შემოტანამდის იყიდეს სიმინდი იმ პირობით, რომ გამყიდველებს ჩაებარებინათ იმათთვის გამხმარი სიმინდი, რომლის ფასიც მიიღეს წინადვე. ამისი შედეგი ის იყო, რომ მათ წლის გასულში დააკლდათ სარჩო და ფუთი ათ შაურად გაყიდული სიმინდი იძულებულ არიან ეხლა იყიდონ სამ აბაზად.

ჩვენში არის ორი პირველ დასაწყისი სასწავლებელი, სასოფლო და სამრევლო. ეს უკანასკნელი დაარსდა წარსულ წელში იმის გამო, რომ სწავლის მსურველები მრავალნი იყვნენ და სასოფლო სკოლაში ვაკანსიები არ იყო. დიდად ემადლიერება ხალხი ბ-ნ ს., ამ სკოლის დამაარსებელს, რომ გზა მისცა სწავლის მსურველ ბავშვებს. ჩვენს სასოფლო სკოლაში სწავლობენ ოთხმოცამდე შეგირდები. ამდენის კაცის ბედ-იღბალი არის ჩაბარებული ერთის მასწავლებლის ხელში, რომელსაც მიუღია განათლება ოზურგეთის სამკლასიან სასწავლებელში. მასწავლებელს ჯამაგირი ეძლევა აქ სამას ორმოც-და-ათი მანეთი.

ლანჩხუთში დღეს იმყოფება მიწის გამმიჯნველი კომისია. რაც კომისია შეუდგა მიჯნას, იქნება ერთი თვეე. პირველად იმიჯნება ის მიწები, რომელნიც მდებარეობენ რკინის-გზის მახლობლად. ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე იმისთანა პირები, რომელნიც ჩუმად თუ ცხადად იძახიან, ეს-და-ეს მიწა სახელმწიფოსაო. ვერ გაგვიგია, რა უნდა მუშაობდეს აქა, რომ ტყუილად ჰმოწმობენ და კერძო საკუთრებას ძირს უთხრიან ეს პირნი, რის გამოც ასტყდება ხოლმე აყალ-მაყალი ადგილის პატრონთა და კომისიონერთა შორის.

ლანჩხუთელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ვინა ჰრევს და სწეწავს ევროპის საქმეებსა, ვინ არის მტერი მშვიდობიანობისა, ვის უნდა—ერთმანერთს შეაჯახოს სახელმწიფონი, გააჩინოს ცეცხლი და მერე ზედ ხელი თავად მოითბოს? სათითაოდ რომ ჰკითხო დიპლომატიას, ყველა ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცავს მგმობარე ფიცითა, რომ მე მშვიდობიანობა ძვირფასს განძად მიმაჩნია ქვეყნისათვის და აიგერ ის არის დამნაშავე, ის არის დაუდგრომელიო. ერთი ერთზე იშვერს ხელსა, მეორე—მეორეზე და ასე ამ რიგად. დღეს ვითომ ინგლისი,—ეს ცბიერი ალბიონი—ამღვრევს წყალს სახელდობრ, ხვალ ვითომ ბისმარკი აბამს ქსელს და ბუზივით უნდა გააბას რომელიმე თავისი მეზობელი აბლაბუდაში, მაზეგ კიდევ ავსტრიაზე გაიშვერენ ხელს: ეგ არ არის წმინდა წყლისაო. მერე ბულანჟეს გამოატყვრენენ—რევანშის მოციქულია, ვიდრე ეგ იქნება, შიში და საფრთხე შავ ყორანივით იტრიალებს ევროპის თავზეო. ერთის სიტყვით, ყველა ბრალმდებელია და თან ბრალდებულიც.

დღეს „Новости“-ს წაუვლია ხელი ბისმარკისათვის და დახელოვნებულის პროკურორივით ეჯაჯგურება: სთქვი, რომ შენ ამღვრევ ევროპაში წყალსაო.

მაშ ვინა, თუ არ ბისმარკი და გერმანიაო? კითხულობს გაზეთი. მოიგონეთ ამ ოთხის წლის ისტორია. ვინ შეადგინა ლიგა მშვიდობიანობის დაცვისათვის ევროპაში მაშინ, როცა მშვიდობიანობას არავითარი განსაცდელი არ მოელოდა. ბისმარკი არ იყო, რომ ამ ლიგაში ჩააბა ყველა სახელმწიფონი, საფრანგეთისა და რუსეთის გარდა? ისიც ბისმარკი არ იყო, რომ საკოლონიო პოლიტიკა აიტეხა და ამ პოლიტიკაში გააბა ყველა, ვისიც თვალი უნდოდა ევროპისათვის მოეშორებინა. ბისმარკივე ცდილობდა, რომ რუსეთს გვლავ დაეწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ და დაუძლურებულიყო ამ ომში, მაგრამ მოუცდა თავისი განზრახვა. აბა, დააკვირდით, რა ორ-პირად და ორ-ყაბაზად იქცევა ბისმარკი ბოლგარიის საქმეში, ვითომ და მე არაფერს შუაში არა გარო, ის-კი არა თუ, თან რეგენტებს აგულიანებს: თქვენ ნუ გეშინიანთ, მე თქვენი მწყალობელი გარო. ისიც ხომ გახსოვთ, რა ნაირ აემრიზება და შეეტოტინება ხოლმე საფრანგეთს, როცა-კი შენიშნავს, რომ საფრანგეთი მოკავშირეს ეძებს გერმანიის წინააღმდეგაო...

შემდეგ გაზეთი თან-და-თან უფრო ცხარდება და ამბობს, რომ გერმანიამ პირველმა გააძლიერა თავისი ჯარი და თავის მოკავშირეებსაც გააძლიერებინაო. დაიწყო სასტიკი ბრძოლა ჩვენის საეკონომიო ინტერესების წინააღმდეგ, განდევნა რუსეთის ქვეშევრდომნი გერმანიიდამაო, დააფოლა ჩვენი ფული და ფონდები, მოავლინა ჩვენცა და საფრანგეთსაც თავისი დაგეშილი გაზეთები და ვინ მოსთვლის კიდევ, რა არ ჩაიდინაო.

თუ მართლა ასეა, რა უნდა ვურჩიოთ გაზეთს? სამწუხაროა, მაგრამ სულთქმა-უშითაც საქმეს არა ეშველება-რა. ნათქვამია,

ვინც დაშერა, მანვე მოიგო
უნჯი ორსავე სოფელსა.

**

მოგვყავს საინტერესო სიტყვა, რომელიც წარმოუთქვამს ამ დღეებში შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნუმა დროს:

შიშითა და კანკალით ველოდით ომს ამ წლის დამდეგს, მაგრამ ახლა, ღვთის მადლით, ომის შიში გაიფანტა. იმედია, რომ ბრძნული ქცევა ევროპის სახელმწიფოთა მეთაურის კაცებისა შემდეგისათვისაც აიცილებს ქვეყანას ომსა და დაამყარებს მშვიდობიანობასა. ევროპას იმედი აქვს, რომ დიპლომატია სისხლ-დაუღვრელად გადასწყვეტს დღევანდელს სადავო საქმეებსა. ამ გვარის ქცევით დიპლომატია დაიხსნის ევროპას აღურიცხველის მწუხარებისა და შემაძრწუნებელის შიმშილისაგან, რომელიც მუდამ თან მოსდევს დიდს საპოლიტიკო არეულობასა. მე ვლაპარაკობ დღეს პატარა ნეიტრალ სახელმწიფოს სახელით. ეს სახელმწიფო ყველასთან მეგობრად არის, მაგრამ მასთანავე გადაწყვეტილი აქვს, ყოველივე მსხვერპლი გასწიროს თავის უფლებისა და არსების დასაცველად. ჩვენ მოვიჭირნახულეთ ჩვენი დამოუკიდებლობა და არც ნებას მივცემთ ვისმე ხელი წამოატანოს ამ ჩვენს საუნჯეს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ პატივის-ცემით ეპყრობიან იმათ, ვისაც ძალა აქვს და მკლავი უჭრის. ამიტომ ჩვენის არსებობის დასაცველად, ჩვენ დავემყარებით, საერთაშორისო ხელ-შეკრულობათა გარდა, ჩვენს საკუთარ მხნეობასაცა. იმედი გვაქვს, რომ დღევანდელი ჩვენი დღეობა მეთოფურთა და კარგ თოფის მსროლელთა პატივსაცემად გამართული, თავის ნაყოფს მოიტანს. გულადი და მამაცი ახალგაზდობაც შეგვეწევა ამ საქმეში. იმედი უნდა გვქონდეს უფრო ჩვენის ერის ერთგულებისა და მამულის სიყვარულისა. მამულის სიყვარული აორკეცებს და ასამკეცებს ძალას შეიარაღებულის მეომარისას, რომელიც გამოსულია თავის სახლ-კარის დასაცველად.

ვერაფერი სამშვიდობო ნიშანია, რომ პატარა რესპუბლიკაც-კი ასეთის რიხითა ლაპარაკობს. მაგრამ ან-კი რა ქნას? ათასი მშვიდობის მოყვარეც რომ იყოს, დღეს ისე აირია ევროპის საქმე, რომ ყველამ ხმალ-კაპარჭი უნდა მოიმარჯვოს და მკლავი გაიმამაცუროს. ვარდთან ვარდობა იჩემე და ეკალთან ეკლის რქებიო.

**

გაზ. „L' Autorite“-ში პოლ-დე კასანიაკს დაუბეჭდია შემდეგი პასუხი ლორის წერილის თაობაზე.

ჩვენ, ვგონებ, გმასხარაობთ. არა, რა სათქმელია, რომ კონვერტი გავხსნა მაშინ, როცა სადუელოდ ვიქნები მომზადებულია თუნდ აგრეც იყოს, ვინ არის თავ-მდები, რომ ყველა ის სახელები 94 გენერლის. და მემარჯვენე დეპუტატებისა, რომელთაც სთხოვეს, ვითომ ბულანჟეს, რესპუბლიკა დაამხეო, ნამდვილი სახელები იქნება? ლორის, როგორც ეტყობა, კაცი ადვილად ვერ ენდობა. ამიტომ მე მსურს, რომ საჭირო სახელები გამოაცხადოს მან გულ-ახდილად, საჯაროდ და არა მალვითა.

შემდეგ კასანიაკი მოგვითხრობს, რომ ლორი სტყუის, ვითომ მე სედანის ომის დროს სარდაფში ვიმალებოდი. მე მაშინ დუელში დამჭრეს, მაგრამ მაინც მძიმედ დაშავებული უბრალო ჯარის-კაცებთან ერთად ვიბრძოდიო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ლორმაც თავისი მოვალეობა ისე შეასრულოს სამშობლოს წინაშე, როგორც მე მაშინაო და შემდეგ ასე ათავებს თავის წერილს:

ერთი შენიშვნაცა: ლორმა სიტყვა გადმომკრა, რომ ვითომ მე ვერიდები. ეს მართალია. ჩემს დღეში სიტყვა არ გამიტეხნია და ამიტომ ყოველთვის მორიდებული ვარ, რომ ისეთს არავის შევხვდე, ვინც სახელს გამიტეხავს. მეშინიან კიდეცა, რომ ჭუჭყიანმა არსებამ არ გამსვაროს, თუნდა ერთის ხმლის სიგრძის მანძილზედაც ვიყო იმისაგან მოშორებული. მოკლედ ვიტყვი: გსთქვათ, მე გაუზრდელი კაცი ვარ, სულ-მდაბლობა გამოვიჩინე ომის დროს და სიმხდალე ლორის წინაშე. მერე რა!? განა ამიტომ მოვალე არ არის ლორი დაამტკიცოს თავის სიტყვების სიმართლე? საქმე იმაშია: იტყუა ლორმა თუ არა. მე დუელი არ მინდა. დუელი რას გამოარკვევს? საჭირო კია, რომ ვიცოდეთ, მართლა 94 გენერალი და დეპუტატი სთხოვდა ბულანჟეს, დაამხე რესპუბლიკაო და ისიც მაშინ, როცა გერმანია ომს გვიპირებდა? ათასი რომ იხტუნოს ლორმა, ცაბრუტივით რომ იტრიალოს, იყვიროს, ილანძღოს, მე მაინც ამას ვიტყვი: ან დაამტკიცე შენი სიტყვები და მე მაშინ შენი ვარ, ან არა და დამტკიცდება სულ სხვა, სახელდობრ, ისა, რომ თქვენ საზიზღარი და სალახანა კაცი ბრძანებულხართ, ისეთი კაცი, რომელიც სრულიად ღირსი არ არის ყურადღებისა.

**

გაზ. „Morning Post“-სა სწერენ მადრიდიდამ შემდეგს სასაცილო ამბავსა:

6 თიბათვიდამ ისპანიის მეფე მეორე წელში გადადგა. ამ ამბის გამო მადრიდის დერციეთა ჰამქარმა სთხოვა დედოფალს, ნება მოგვეცით პირველი მუნდირი შევუკეროთ მეფესაო. ნება მიეცათ და ამ ჟამად იკერება ყველაზედ პატარა მუნდირი, რომელიც-კი როდისმე სცმია მეფესაო. მუნდირთან ერთად მიართმევენ ძუძუმწოვარა მეფეს პაწაწკინტელა დაშნასაცა, რომელსაც ოქროს ვადა ექმნებაო. მუნდირის კერვა პატარა ხანს შეუყენებიათ, რადგან დერციებს უკითხავთ დედოფლისათვის, რა ჩინი აქვს ეხლა მეფეს, რომ სახელოებზე ისეთი ნიშნები მოვქარგოთო. მეფე დაბადების უმალვე ჯარში ჩაიწერა და სამსახურში ითვლება. ჰგონებდნენ, რომ დაბადების დღესვე აფიცრობას მისცემდნენო. დედოფალს ჯერ-ჯერობით პასუხი არ მიუცია დერციებისათვისაო.

დღეს მაშ ორი მუნდირი იკერება: ერთი ისპანიის მცირე-წლოვანის მეფისათვის მადრიდში და მეორე—ბოლგარიის მთავრის ფერდინანდ კობურგისათვის სოფიაში. საშიში-კია, რომ ფერდინანდიც ისეთი მცირე-წლოვანი მთავარი არ გამოდგეს ბოლგარიისათვის, როგორც ალფონს XIII-ეა ისპანიისათვის.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** რუსეთისა და სამზღვარ-გარეთული მწერლობა თან-და-თან რწმუნდება, რომ პრინცი ფერდინანდი ამ მოკლეს ხანში შევა ბოლგარიაში და სამთავრო ტახტზე დაჯდება. დღეს თითქმის არავის არა აქვს ეჭვი ამის შესახებ, და ყველანი მომეტებულს ყურადღებას ბოლგარიის საქმეს აქცევენ და ამიტომაც გულის ძგერითა და შიშით შესცქერიან პრინც კობურგის სითამამეს. იმას არც-კი ჰკითხულობენ, თუ რა უნდა მოსდევდეს კობურგის გამბედაობას, თითქო დარწმუნებულნი არიან, რომ ბოლგარიის საქმემ დიდი რამ უსიამოვნობა უნდა გამოიწვიოს ევროპის დიპლომატიაში. რწმენა იმის შესახებ, რომ კობურგი არ მოუცდის სახელმწიფოთა შეთანხმებას და ისიც, რომ იმისი გამბედაობა სახელმწიფოთა შორის დიდს შეკამათებას გამოიწვევს, კიდევ უფრო გამტკიცდა იმის შემდეგ, რაც ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებმა ინახულეს ერთიერთმანერთი გაშტეინში. ეხლა ეჭვი არ არის, რომ ამ ორ იმპერატორთ, სხვათა შორის, მოლაპარაკება ჰქონიათ ბოლგარიის საქმის შესახებ, თუმცა როგორც დეპეშა გვაცნობებდა, იმპერატორთა ნახვასა და მოლაპარაკებასა არც ერთი მინისტრი არ დასწრებია.

ამ გარემოებათა შემხედვარე რუსეთი ერთხელვე არჩეულ გზიდგან არამც თუ გადამდგარა, არამედ კიდევ უფრო მტკიცედ აცხადებს იმასა, რომ იგი არაა იმის თანახმა, რომ კობურგმა იმთავროს ბოლგარიაში. გაზეთი „Новое Время“ ამბობს, რომ რუსეთს უკვე განუზრახავს მიიღოს საჭირო ზომანი ბოლგარიის საქმის დასაბოლოვებლად თავისის ნების დაგვარად. რუსეთის გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ გასაკვირველი და მოულოდნელი არ იქმნებაო, თუ პრინცი ფერდინანდი ბოლგარიაში შევიდაო. საქმე ის არისო, რომ მთავრად დარჩესო, მაგრამ კობურგი ამას ვერ ეღირსებაო, რადგანაც რუსეთს არა სურს იმისი გამთავრება ბოლგარიაში და ეს სურვილი-კი მარტო სურვილად არ დარჩებაო. პრინცი კობურგისა თავის თავს, თავის მოამაგეს, კობურგის გვარეულობის სახელს საშიშროებაში აგდებს და რუსეთი მას იმოდენს პატივსაც არ დასდებს, რამდენიც ბატენბერგს დასდოვო. ბატენბერგი კანონიერად და რუსეთის თანხმობით ამორჩეული იყოვო, და კობურგის არჩევა-კი უკანონოდ და რუსეთის თანხმობის დაურთველად მოხდაო.

აი, რამდენად გამწვავებული სჯა ატყდა მწერლობაში, და ეს იმის ნიშანია, რომ ბოლგარიის საქმე მართლაც რომ შეეხება მთელის ევროპის დიპლომატიას, რომ მასზეა დამოკიდებული მთელის ევროპის მშვიდობიანობა და სახელმწიფოთა შორის თანხმობა და მეგობრობა.

## წვრილი ამბები

— თუმცა დიდის ამბით და პატივით გადაიხადეს ლონდონში დედოფალ ვიქტორიას იუბილეი, მაინც ეს დღესასწაული ჟურნალ „Truth“-ის სიტყვით, 500,000 მან. დამჯდარა. ეს ფული ზოგი ხელ-მოწერით მოუგროვებიათ და დანარჩენი კიდევ სახელმწიფოსა, ქალაქსა და დედოფალ გარდახდებათო.

— ვენაში ამას წინად ერთი მოხუცებული გლახა-დედაკაცი დაუჭერიათ, რომელსაც იმით მოუქცევია პოლიციის ყურადღება, რომ დაინახავდა თუ არა თურმე პოლიციელს, მაშინვე შუა-ქუჩაში დაჭყროდა ხოლმე ყავარჯენებს და ისე ცქვიტად გარბოდა, თითქოს 15 წლის ასაკისზედა ქალი იყოსო. დაჭერისთანავე ცნობები შეუკრებიათ და გაუგიათ, რომ ეს დედა-კაცი ასის წლისაა თურმე და ამასთან იმიტომ-კი არა გლახაობს, რომ უჭირდეს და საზრდო არა ჰქონდეს, არა, რადგან ავადმყოფობა სჭირს, გლახაობა უყვარს და ეს აიძულებს ხელი გაუშვიროს გამვლელ-გამომვლელთაო. სასამართლოს 12 საათით დაუპატიმრებია დამნაშავე.

— გერმანიის ახლანდელი ელჩი ბარონ გატცფელდტი ლონდონში—წინ გერმანიისავე ელჩად ყოფილა სტამბოლში დანიშნული. სტამბოლიდგან წამოსვლის დროს გერმანიის ამ ელჩისათვის სულთანს უბოძებია თავისივე დახატული სურათი. სურათზე დახატულია რამდენიმე ჩერქეზი, რომელნიც ცხენებით არიან, წყალ

ჭასთან შეუსვენიათ გზად და ცეცხლი უნთიათ. სურათს ზედ დაკრული აქვს თურმე პატარა თითბერის ფიცარი, რომელზედაც დაწერილია: „სულთანი ოსმალეთისა ამ სურათს თავის საკუთარის ხელით უძღვნის გრაფს გაცფელდტისა“.

— ინდოეთში ჩვეულებად არის, რომ უმაწვილებს დაბადებისათანავე ჰხოცავენ და განსაკუთრებით-კი დედათა სქესის უმაწვილებს. საზოგადოდ, ქალებს ინდოეთში სრულიად არა სცემენ პატივსა. დაებადება თუ არა ქალი რომელსამე ინდოელს, წყევლა-კრულვით იღებენ ამ უმაწვილსა და მისი დაბადება დიდ უბედურებად მიაჩნიათ. ჯერ ესლა-ც-კი ცოტა ჰყავთ ქალები ინდოელებს. ამ საუკუნის დასაწყისს გამოიანგარიშეს და იმ აზრს დაადგნენ, რომ ინდოელები წელიწადში 30,000 უმაწვილს-ქალს უნდა უსწრაფებდნენ სიცოცხლესაო. ინგლისის მთავრობამ წინააღმდეგობა გამოუცხადა ამ ჩვეულებას და ცოტადი არის მაინც შეასუსტა ეს სასტიკი ბოროტ-მოქმედება. განსაკუთრებით სამხრეთ ინდოეთში ისე მისდევდნენ ამ ჩვეულებას, რომ სახლებს ბევრს ალაგას კრამიტების მაგიერ მოკლულ ქალების თავის ქალა ჰქონდა გაკეთებული. სამხრეთ ინდოეთში ვაჟებსაც ჰხოცავენ. ჩრდილოეთ ინდოეთში ქალების ხოცვის მიზეზი ის არის, რომ ქალის გათხოვება, როცა გაიზრდება, ძნელია, უქრთამოდ არავის მიჰყავსო და სამხრეთითი-კი ქალები ტაძრებში მსახურობენ. ამიტომაც აქ ვაჟებსა ჰხოცავდნენ და ორმოებში ჰყრიდნენ და ქალებს-კი ცეკვასა და მღერას ასწავლიდნენ, რომ ტაძრის ქურუმებად გამოსდგარიყვნენ. 1870 წელს ინგლისის მთავრობამ კანონი გამოსცა და აღუკრძალა ინდოელთ უმაწვილების ხოცვა, ამას სათვალ-ყურიოდ კერძო ზედამხედველნიც დააყენა და ამ გვარად მოსპო ეს სასტიკი და შეუბრალებელი ჩვეულება, თუმცა ეხლაც-კი დრო-გამოშვებით გამოჩნდებიან ხოლმე ინდოეთში ძველის ჩვეულების მიმდევარნი.

# დეპეშა

27 ივლისი

მოსკოვი. წარმომადგენელნი საფრანგეთის პატრიოტების საზოგადოებისა პოლ დერულედი და არმან გუნილი დროზე ვერ დაესწრნენ მ. ნ. კატკოვის დასაფლავებას; ისინი მხოლოდ დღეს საღამოს შვიდს საათზე მოვიდნენ და მოსკოვ-ბრესტის გზის ვოგზალზე მათ მიეგებნენ „მოსკოვის უწყებათა“ თანამშრომელნი და ფრანგთა კოლონიის წევრნი.

ორენბურგი. გუშინ ორენბურგზე გაიარა „სავაჭრო სახლის“ კუდრინისა და კო-ის ექსპედიციამ, რომელიც შუა აზიას მიდის. ამ ექსპედიციამ უნდა გამართოს ბამბის პლანტაციები და ბამბის საწმენდი ქარხნები; იმავე ექსპედიციამ აგრეთვე უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს ნიადაგი თურქესტანისა და იმიერ კასპიის მხარესი. ექსპედიციაში იმყოფებიან პროფესორი ყაზანის უნივერსიტეტისა განონიკოვი, აგრონომი განონიკოვი და ინჟინერ-ტეხნოლოგი გოფმანი.

28 ივლისი

მოსკოვი. გუშინ ლუბიანსკის ბაღში გენერალ-გუბერნატორისა და მხედართ-მთავრის თანადასწრებით ჩაჰყარეს საძირკველი ძეგლნიშისა იმ გრენადერთა მოსახსენებლად, რომელნიც პლევნის ომში დაიხოცნენ.

პარაკლისი გადაიხადა მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკემ. ძეგლი მზად იქნება 28 თებერვალს 1888 წელს—პლევნის ომის ათის წლის თავსა.

გეტინგენი. გუშინ აქაურის უნივერსიტეტის სადღესასწაულო აქტის დროს პროფესორი მენდელეევი ამორჩეულ იქმნა ფილოსოფიის საპატიო დოქტორად.

სტამბოლი. აზიის ოსმალეთში რკინის გზების გაკეთების კონცესსია მიიღო ინგლის-გერმანელთა საზოგადოებამ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 24-Ს ᲘᲕᲚᲘᲡᲡ
ᲤᲐᲡᲔᲑᲘ:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 180³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 28 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 265 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 253¹/₂ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | 99 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 99 |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | 83³/₄ | — » | — » |

ᲡᲐᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ᲛᲙᲐᲗᲐᲗᲕᲔ 31 დღით არის

29 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. კალინიკე, ქალწულ-მოწამე სერაფიმისა; წმ. მოწ. ევსტათი მცხეთელისა. კათოლიკეთა: მართასი, ფელიქსისა და ბეატრისასი, სომეხ. მარხვა. მუსულმ. მე—21 რიცხვი ზილ-ყაადეს თთვის 1304 წ. ჰიჯრისა ჭეშმარიტი შუადღე 12—5, ტფილისში მზე ამოდის—5—3, ჩადის. 6—7. მთვარე 22 დღისაა.

30 დღე ხუთშაბათი. წმ. მოციქ. შილა, სილუან მოწ. იოანე მხედარ. კათოლ. აბდანისა და სინენასისა სომეხ. წმ. სოფია და სამთა ასულთა: პისტი. ელპიდისა, აგაპისა. მუსულ. მე-22 რიცხვი ზილ-ყაადეს თთვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—5, ტფილ. მზე ამოდის 5—4, ჩადის 7—5. მთვარე 23 დღისაა.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

**ნიხრი**

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | | 3 | » |
| » 2 | » | 2¹/₂ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | » |
| » » 2— | | 3¹/₂ | » |
| » » 3 | » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | 5 | » |
| 1-ლის ხარისხისა . | . | 4 | » |
| მე-2 ხარისხისა . | . | » | » |
| მე-3 — . | . | 7 | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 6 | » |
| » 2 | » | 13 | » |
| სუკი. . . | . | 8 | » |
| ცხვრის ხორცი . . | . | » | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | » | » |
| » 2 | » | » | » |

ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕ ᲖᲦᲕᲐᲖᲔᲓ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—ამის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდან პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჩის რამ ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡᲐ

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ ამა მდგომარე 1887 წ. ენკენისთვისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში ორმოცი (40) ვაკანსია იქნება, მეორეში ექვსი (6) და მესამეში და მეოთხეში შეიძლება მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდეს ვაკანსია. პირველს განყოფილებაში მისაღებ ყმაწვილებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 15 აგვისტოდამ 25-დის და თან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობანი წლოვანებისა და აზნაურობისა, ანუ ბანკის გამგეობის კვიტანცია, რომ მოსწავლის მშობლები (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთაგანი არიან. პირველს განყოფილებაში შვიდისა და რვა წლის ყმაწვილი მიიღება, მეორეში ცხრისა, მესამეში ათისა და მეოთხეში თერთმეტისა. თანახმად საბანკო კრების გარდაწყვეტილებისა, სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელში ყმაწვილის მიბარების უფლება აქვთ ქუთაისის გუბერნიის ყოველი მაზრას თავადაზნაურთა. (8—2)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . . | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . . | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | » | 40 |
| მეჯღანუაშვილი, არდაზიანისა . | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | » | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთავისა. | 1 | » |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთავისა. . . . . . . | » | 5 |
| გაუ-არაკი, რაფაელ ერისთავისა. | » | 25 |
| განკიცხული, მოჩხუბარიძისა . | » | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . . | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . . | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | » | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | » | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | » | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | » | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . . | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | » | 55 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . | » | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | » | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | » | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა. . . . | » | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | » | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | » |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . , | » | 30 |


Дозв. цен. Тиф. 28 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე